



სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

16 ივნისი 2026

B26379399/3

გადაწყვეტილება # B26379399/3 (16/06/2026 18:35:06)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #B26379399 15/06/2026 13:54:11 (განმცხადებელი: ილიას აპავეი/549856952/ წარმომადგენელი: მაია ჟვანია/39801047445/), რომლითაც მოთხოვნილია რეგისტრაციის გაუქმება.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს რაპირა გრუპ**
საიდენტიფიკაციო კოდი: **412771852**

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება რეგისტრაციის გაუქმებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულება.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დასაბუთება

1. NB26379399 განცხადებით მოთხოვნილია შპს „რაპირა გრუპის“ (ს/ნ: 412771852) რეგისტრაციის გაუქმება.

2. მარეგისტრირებული ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ :

2.1.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - შემოსავლების სამსახურის 2026 წლის 28 მაისის N 21-05/38092 კორესპონდენციის (კანცელარიის წერილის ნომერი: 143315/17) თანახმად შპს „რაპირა გრუპის“ (ს/ნ: 412771852) მიერ არ არის შესრულებული იურიდიული პირის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები/ვალდებულებები.

ამავე წერილში მითითებულია, რომ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების შესრულებამდე, არ უნდა განხორციელდეს ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება - რეგისტრაციის გაუქმება, ხოლო კომპანიის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შესახებ სააგენტოს ეცნობება დამატებით.

2.2. მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 82-ე მუხლის მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებული ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ

ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და უნდა მოიწვიონ ისინი მოთხოვნების განსაცხადებლად.

გამოქვეყნებული გადაწყვეტილება N1-ის საფუძველზე, კრედიტორთა მოთხოვნების წარდგენის ვადა განისაზღვრა გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან. (22.05.2026)

რეგისტრაციის პროცესში არ დგინდება ლიკვიდატორის მიერ რეგისტრაციის გაუქმებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულება.

3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 82.2 მუხლის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს, რომელიც შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მარეგისტრირებული ორგანოსთვის სუბიექტის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობა, უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ვადაზე, რომელშიც ჩატარდება საგადასახადო შემოწმება საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების არსებობის შემოწმების მიზნით. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების ჩატარების 90-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 2 თვისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების 10-დღიანი ვადის, აგრეთვე ამ ინფორმაციაში მითითებული საგადასახადო შემოწმების ჩატარების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში სუბიექტი საგადასახადო დავალიანების არმქონედ მიიჩნევა

3.1. 'მეწარმეთა შესახებ' საქართველოს კანონის 86.1. მუხლის თანახმად: ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვიდან და სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქონება შეიძლება განაწილდეს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის შემდეგ, თუ არსებობს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის მესამე პირთა უფლებებს.

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N22 :::
www.reestri.gov.ge